ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6520868

ნომერი: AR1968929

თარიღი : 29.05.2023

გაცემის თარიღი : 21.06.2023

გაცნობის თარიღი : 21.06.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლერწამი , მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 29 მაისს №AR1968929 განცხადებით მომართა კონსტანტინე დგებუაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 4 მაისის №6446882 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 5 ივნისის №6492538 ბრძანებითა და 2023 წლის 9 ივნისის №6502383, 2023 წლის 14 ივნისის №6509626, 2023 წლის 15 ივნისის №6512086 და 2023 წლის 19 ივნისის №6517368 (2023 წლის 19 ივნისის შეტყობინების საფუძველზე, განხილვის გარეშე, შუალედური სტატუსით იქნა დაბრუნებული) გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ, ისევ არ არის ხარვეზები სრულად გამოსწორებული, მაგ.: წარმოდგენილი და შეთანხმებული გეგმები კვლავ შეუსაბამოა ერთმანეთთან, შეცვლილია გეგმარება - +14.59, +17.66, +20.73 ნიშნულების გეგმებზე კოლონების გაბარიტებია შემცირებული, ასევე წარმოდგენილი და შეთანხმებული +33.10 ნიშნულის გეგმები „ბ-ა“ ღერძებში „2-3“ მონაკვეთში შეუსაბამოა ერთმანეთთან და სხვ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული გასწორებული დოკუმენტაცია და ამასთან, სამსახურის არაერთი გადაწყვეტილებით მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ გამოსწორდა, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 29 მაისის №AR1968929 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.